ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1473605

ნომერი: AR1249305

თარიღი : 08.09.2014

გაცემის თარიღი : 11.09.2014

გაცნობის თარიღი : 12.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნიკოლოზ ყიფშიძე , N 2ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ ჩხაიძე პ/ნ 01008024556
- თბილისი ი.ქუთათელაძის ქ. N 1

ორგანიზაცია:
- ამფიონი კოდი: 205264603

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განმეორებით განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტორულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

№1392841 გადაწყვეტილებით გეცნობათ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნდა აივნის მოწყობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო აივანი მოეწყობა არსებული აივნის სიმეტრიულად და მის გაბარიტებში, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო იყო წარმოდგენილიყო განახლებული ფოტომონტაჟი ზომების მითითებით, მათ შორის არსებული აივნის. ამჟამად წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით შეცვლილია აივნის ზომები, რაც ითვალისწინებს ზემოთ არსებული აივნების გასწვრივ გაერთიანებული აივნის და დამატებით დეკორატიული ელემენტების მოწყობას. სამსახურის უფლებამოსილებიდან გამომდინარე (გადასინჯოს წარმოდგენილი საპროექტო ობიექტების ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე) და ვინაიდან აღნიშნული ობიექტი განთავსებულია ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია წარმოდგენილი ფოტომონტაჟების მიხედვით ობიექტის განვითარება. აივანი მოეწყოს AR1221611 განაცხადზე ატვირთული ფოტომონტაჟის შესაბამისად, თუმცა შემცირდეს მისი სიგრძე და მოეწყოს ზემოთ არსებული აივნის სიმეტრიულად და მის გაბარიტებში, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული ფოტომონტაჟი ზომების მითითებით, მათ შორის ზემოთ არსებული აივნისაც.
გარდა ამისა:
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებით დაფუძნებულად ითვლება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ისეთ მრავალბინიან სახლში, რომელიც განთავსებულია ერთ მიწის ნაკვეთზე და რომელშიც მდებარეობს ორზე მეტი ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ბინა. (მუხლი 11, პუნქტი 1) აქედან გამომდინარე, უნდა მოიწვიონ კრება, აირჩიონ თავმჯდომარე და წარმოადგინონ შესაბამისი კრების ოქმი შესათანხმებელ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.